აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. აფილირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და აფილირების ხელშეკრულების გაფორმება 3

მუხლი 3. აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები 4

მუხლი 4. აფილირებული აკადემიური პერსონალის საქმიანობის შედეგები 5

მუხლი 5. აფილირების ხელშეკრულების შეწყვეტა 5

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი ადგენს ვებსტერ უნივერსიტეტი, ინკ.-ის ფილიალი საქართველოში (შემდგომში - ფილიალი) აკადემიური პერსონალის აფილირების პირობებს, აფილირებასთან დაკავშირებულ მათ უფლებებსა და ვალდებულებებს.
2. აფილირების წესის მიზანია კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, აკადემიური პერსონალის მოტივაციის ამაღლება და მათი აქტივობების წახალისება.
3. ფილიალთან აფილირება გულისხმობს აკადემიური პერსონალის წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის, აკადემიური პერსონალის ინიციატივების, პროექტების, კვლევების და სხვა აქტივობების განხილვას, დაფინანსებას ან/და სხვა ფორმით მხარდაჭერას, აკადემიური პერსონალის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო და კვლევით პროცესში, აგრეთვე სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობას ფილიალის სახელით.

მუხლი 2. აფილირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და აფილირების ხელშეკრულების გაფორმება

1. პირი, რომელიც არჩეულია აკადემიურ თანამდებობაზე, უფლებამოსილია მიმართოს რექტორს და აკადემიურ საბჭოს აფილირების მოთხოვნით.
2. რექტორი და აკადემიური საბჭო აკადემიური პერსონალის მიმართვას განიხილავს 30 დღის ვადაში. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გამოიცემა რექტორის ბრძანება აფილირების შესახებ და ფორმდება აფილირების ხელშეკრულება.
3. აფილირების შესახებ ინიციატივით აკადემიურ პერსონალს შესაძლოა მიმართოს რექტორმა ან/და აკადემიურმა საბჭომ.

4. აფილირების პირობები, აფილირებასთან დაკავშირებული აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა ფილიალსა და აკადემიურ პერსონალს შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე.

5. ვებსტერ უნივერსიტეტის (სათაო ოფისი) პერსონალი, რომელიც ჩართულია ფილიალის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში, სასწავლო და კვლევით პროცესში, ავტომატურად ითვლება ფილიალის აფილირებულ აკადემიურ პერსონალად.

მუხლი 3. აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები

1. აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

ა) წარმართოს ან/და მონაწილეობა მიიღოს სასწავლო და კვლევით პროცესში;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სასწავლო და კვლევით პროცესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში;

გ) მონაწილეობა მიიღოს კონფერენციებში, სემინარებში, ვორკშოპებსა და სხვა აქტივობებში;

დ) სტუდენტებს გაუწიოს კონსულტაცია აკადემიურ და კვლევით საკითხებზე;

ე) მონაწილეობა მიიღოს ცოდნის გავრცელების პროცესში, სხვადასხვა საზოგადოებრივ პროექტებსა და აქტივობებში ფილიალის მისიისა და მიზნების შესაბამისად;

ვ) წელიწადში ერთხელ რექტორსა და აკადემიურ საბჭოს წარუდგინოს აფილირების პირობების შესრულების ანგარიში, რომელშიც მიეთითება ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების შესახებ.

2. აფილირებული აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს აფილირების ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა;

ბ) ფილიალის სტრუქტურულ ერთეულებს და მართვის ორგანოებს მიმართოს ინიციატივებით.

მუხლი 4. აფილირებული აკადემიური პერსონალის საქმიანობის შედეგები

1. აფილირებული აკადემიური პერსონალის საქმიანობის შედეგები და მიღწევები ეთვლება ფილიალს.
2. ფილიალის აფილირებული აკადემიური პერსონალის საქმიანობის შედეგები და მიღწევები არ შეიძლება ჩაეთვალოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებას.

მუხლი 5. აფილირების ხელშეკრულების შეწყვეტა

1. აფილირების ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) ფილიალის ინიციატივა აფილირების ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში;
გ) აკადემიური თანამდებობის არჩევის ვადის გასვლა;
დ) აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება ან რაიმე სხვა მიზეზით ფილიალთან აკადემიური ურთიერთობების შეწყვეტა;
ე) სხვა ისეთი გარემოება, რომელიც გამორიცხავს ფილიალთან აფილირებას.
2. აკადემიური თანამდებობის დაკარგვა ავტომატურად იწვევს აფილირების ხელშეკრულების შეწყვეტას.
3. აფილირების ხელშეკრულების შეწყვეტა ავტომატურად არ იწვევს აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლებას.